რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა. . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან. |
| ექვსის თვისა. . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან. |


# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.


ფასი განცხადებისა

სტრიქონზე [illegible] კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა [illegible] ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია გერ დაუბ[r]უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი



მიიღება ხელის-მოწერა

ამ 1884 წლისათვის გაზეთს

## დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ადალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| წლით (12 თვით) — — 9 მან. | 6 თვით — — 5 მან. |
| 11 თვით — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — 8 მან. | 4 თვით — — 4 მან. |
| 9 თვით — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — 3 მან. |
| 8 თვით — — 7 მან. | 2 თვით — — 2 მან. |
| 7 თვით — — 6 მან. | 1 თვით — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.

კვირას, 22 იანვარს

ქართული დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ადვოკატი მელაძე

კომედია 2 მოქ. ფრანცუზულიდ. ბ. ი. მაჩაბლისა.

II

გლახა ჭრიაშვილი

სცენები გლეხთა განთავისუფლების დროს თ. ილ. ჭავჭავაძისა.

III

დივერტისმენტად

«განდეგილი» თ. ი. ჭავჭავაძისა, სახალხო ხმები და «ბოგონაზედ» გლეხთა თამაში.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

დასაწყისი 8 საათზედ. (2—1)


### შენიშვნა.

ბატონო რედაქტორო, ნება მომეცით თქვენის პატივცემულის «დროების» ფურცლებზე ორიოდ აზრი და შთაბეჭდილება გავუზიარო «დროების» მკითხველებს იმ წერილის შესახებ, რომელიც დაბეჭდილი იყო «ახალი მიმოხილვის» მე-3 №-ში «წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის» თაობაზედ.

არა-ერთხელ გამიგია როგორც ბეჭდვით, ისე კერძო ლაპარაკში საყოველთაო სამდურავი, რომ ჩვენი «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» ვერ ირჯება კარგადაო, რომ ჩვენი ხალხის ზნეობრივი და გონებრივი განვითარებისათვის საჭირონი არიანო როგორც სასოფლო სკოლები, ისე პროფესიონალური, როგორც რეალური ძალა ხალხის აღდგენისათვის, რომ ხალხში უნდა გავრცელდეს წიგნებიო და სხ. და სხ.; ყველა ეს «წერა-კითხვის საზოგადოების» ვალიაო,—აგერ ბ. წინამძღვრიშვილმა აჯობაო «საზოგადოებას», დააარსა სამეურნეო სკოლაო, «საზოგადოების» წარმომადგენელნი კი მხოლოდ «ოდების» წარმოსათქმელად და სადილის და ნუნუას დასალევად მივიდნენო წინამძღვარიანთ კარსაო და სხვა ამ გვარი სამდურავები.

ამ საზოგადო სამდურავში და საყვედურში უსაფუძვლო არაფერია. ჩვენ მხრივაც ვიტყვით—ჩვენის ერის აღსადგენად, მისის განვითარებისათვის, საჭირონი არიან ისეთი სოციალურ-პედაგოგიური წამლები, როგორიც პროფესიალური განათლებაა ხალხისა, სასოფლო სკოლების გამრავლება, ხალხში წიგნების გავრცელება, დეპოების დაარსება და სხ. ამას კიდევაც დავუმატებთ, რომ ბუნებითი კანონი, ეგრედ წოდებული «ბრძოლა სიცოცხლისთვის», შთანთქავს ხოლმე მრავალს ისტორიულს ასპარეზზე მომქმედს ხალხსა მისის კულტურით, მისის ენით, და ყოველივე იმით, რაც შეადგენს ხალხის ეროვნულს ნიშანს... თუ მოსაგერებლად არ აღვიჭურვენით საჭირო იარაღებით... და ეს საუკეთესო იარაღი არის განათლება, ეს არის ჩვენი ფარ-ხმალი სიცოცხლის და ეროვნების დასაცველად.

დიაღ რომ ჩვენი ერი გავაღვიძოთ, რომ განვავითაროთ იგი, საჭიროა, მაგ., სახელოსნო სკოლები დავაარსოთ ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებში. ბათუმის მაზრაში, მაგ., უნდა გავხსნათ ორი სკოლა კიდევ—შავშეთში და აჭარაში. სხვა მაგალითი რომ მოვიყვანოთ,—ჟანის ხეობაშიც საჭიროა აგრეთვე რამდენიმე სკოლა; ახალ-ზორში უნდა დაწესდეს საზოგადო დეპო, რომ მთელი ეს ხეობა აღარა ყვლიფონ ახალ-ზორელებმა და სხვ. და სხვ.

ეს ყველაფერი კარგია, საჭიროა, აუცილებელია, მაგრამ საქმე ის არის,— ესე ყოველივე ვინ უნდა დააფუძნოს, ვისი ვალია ამ საქმეების განხორციელება, ვის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ საქმე ესე არ არის დაყენებუ-

«დროების» ფელეტონი, 21 იანვარი.

### დუელი

მოთხრობა გიუი დე-მოპასანისა.

(ფრანცუზულიდამ.)

ომი გათავდა; ნემეცებმა საფრანგეთი ხელში ჩაიგდეს; ხალხი ისე თრთოდა, როგორც დამარცხებული მოჭიდავე გამარჯვებულის ფეხ-ქვეშ.

მოტრფიალე, დამშეული და უნუგეშო პარიჟიდამ დაიძრა, პირველად დამარცხების შემდეგ, ორთქლით მატარებელი, გასწია ახალი სამზღვრებისკენ, წყნარ-წყნარად გაუარა მინდვრებს და სოფლებს. მგზავრები ვაგონის ფანჯრებიდამ დასცქეროდენ განადგურებულ ველებს, ამობუგულს სოფლებს. ცეცხლს გადარჩენილი ქოხების წინ პრუსიის ჯარის კაცები, თითბრით მორთული ქუდებით, სკამებზედ შემსხდარიყვნენ და ჩიბუხსა სწევდენ, ზოგნი იმათგანნი საქმეში იყვნენ და ერთი ერთმანერთს წარამარად ელაპარაკებოდენ, თითქოს თავის კერას უსხდნენო. როდესაც ქალაქები გამოჩნდებოდა, შორიდანვე მოჩანდა, იმათ მოედანზე ჯარი როგორ ვარჯიშობდა და თუმცა რკინის-გზას დიდი ხმაურობა გაჰქონდა, მაინც ჯარის უფროსის ხრინწიანი ხმით ბძანება კაფიოდ მოისმოდა.

დიბუი, რომელიც პარიჟის მცველად იყო ამორჩეული, სანამ ამ ქალაქს გარს მტერი ერტყა, ეხლა მიდიოდა შვეიცარიაში თავის ცოლშვილთან, რომელიც ჯერ მტრის თავ-დასხმამდის სიფრთხილით გაგზავნა სამზღვარ-გარეთ.

ამ მდიდარს და მშვიდობიანობის მოყვარე ვაჭარს შიმშილმა და ჯაფამ სულაც არ გაუპატარავა ვეება მუცელი. იგი მოთმინებით იტანდა სამშობლოს დამცირებას, მხოლოდ ხანდისხან ადამიანის სიმხეცე გაამბედვინებდა მწარე სიტყვების წარმოთქმას. ეხლა, როდესაც ომი გათავებულიყო და ის პარიჟს გასცილდა, პირველად ხედავდა პრუსიელებს; თუმცა თავის მოვალეობას ყოველთვის ასრულებდა და ცივ ღამეებშიაც კი დარაჯობდა.

ზაგულისებული რისხვით შესცქეროდა ამ შეიარაღებულებს და გრძელ წვერიანებს, რომელნიც დაჰპატრონებოდენ საფრანგეთს და გრძნობდა გულში სიყვარულის ალს სამშობლოსადმი, თუმცა სიფრთხილე ფრთებს უკვეცდა.

ამასთან ვაგონში ორი ინგლისელი იჯდა; ისინი მოსულიყვნენ ადგილობრივ ომის ამბების შესატყობად. ორივენი ჩასუქებულნი იყვნენ, თავიანთებურად ლაპარაკობდენ, ხანდისხან ჩაიხედავდენ გზის მაჩვენებელში, საიდამაც ხმა-მაღლივ რაიმე სახელს მოიკითხავდენ და მერე წიგნში ნაჩვენებ ადგილებს დაუწყებდენ ძებნას.

უეცრად, როდესაც მატარებელი შედგა ერთ პატარა ქალაქში, ვაგონის კიბეებზედ ხმლის ჩახა-ჩუხით ერთი პრუსიის აფიცერი ამოვიდა. ის იყო მაღალ-მაღალი, მუნდირში გამოჭიმული და თვალებამდის შებანჯგვლული. იმის ქერა თმა მოწითანო იყო და გძელი ულვაშები პირის სახეს ორად უყოფდენ.

ინგლისელებმა მაშინვე ყურადღებით და კმაყოფილი ღიმილით დაიწყეს იმის დათვალიერება. დიბუი კი კითხულობდა გაზეთს და ვითომ ყურს არ ადევნებდა. ის ისე მობლუნძული იჯდა ქურდივით კუთხეში, თ[ი]თქოს წინ ჟანდარმი უდგა.

მატარებელმა განაგრძო გზა. ინგლისელებმა გააბეს თავიანთი ლაპარაკი, ერთმანეთს ანიშნებდენ ბრძოლის შესანიშნავ ადგილებს, მერე ერთბაშად ერთმა მათგანმა ხელი გაიშვირა პირდაპირ, საითაც თვალი გადასწვდებოდა და ამხანაგს ანიშნა სოფელი. ამაზედ პრუსიელმა თავისი გძელი ფეხები გაშოტა, ზურგზედ გადაწვა და ენის მტვრევით ფრანცუზულად წამოიძახა:

— მე მაგ სოფელში თორმეტი ფრანცუზი მოვკალ და ასზედ მეტი ტყვე წამოვასხი.

ინგლისელიებმა ყურები გააცქვიტეს და მაშინვე [illegible]

ლი? თუ, როგორც ყველანი ამბობენ, ჩვენც ვაღიარებთ, რომ ამაში დამნაშავეა «საზოგადოება», მაშინ ეს საყვედური გვეკუთვნის ჩვენ ყველას, ვინც ამასა ვსწერთ, ვინც ვკითხულობთ, ამიტომ რომ ამ «საზოგადოებას» შეადგენენ ჩვენში ყველანი.

ვინ არ თანა-უგრძნობს «საზოგადოების» საგანსა, ვინ არის ჩვენში ისეთი, რომ უარ-ჰყოს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ამ «საზოგადოებასა» აქვს ჩვენი ხალხის განვითარებისათვის; მაშა, სადამე ყველანი ზნეობითი წევრნი ვართ ამ «საზოგადოებისა». თუ ზნეობითად თანა-ვუგრძნობთ, ჩვენ უნდა შევაგენდეთ ამ «საზოგ დოებას». განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თუ ფორმალურად ჩავეწერეთ «საზოგადოების» წევრად, ექვსი მანეთი უნდა შევიტანოთ იმის კასაში.

თუ «საზოგადოებას» სასურველად არ მიჰყავს საქმე, ეს ისევ ჩვენივე ბრალია, რადგანაც ეს «საზოგადოება» ისეთი ბიუროკრატიული დაწესებულება კი არ არის, სადაც მხოლოდ რამდენიმე პირის ხელშია საქმის თავი და ბოლო; არა—ეს ისეთი დაწესებულებაა, რომლის წევრნი ყველანი ვართ და საქმე ვერ წავა რიგიანად, თუ ყველანი არ ვეწევით მას ყოველი ჩვენი ღონის-ძიებით, ენერგიით, ფულით და სხ. წერა ქაღალდზე პროექტების შედგენა ძალიან ადვილია, მაგრამ განხორციელება ნაწერისა და ნათქვამისა ძალიან ძნელია. მაშ თუ «საზოგადოებას» ყველა ჩვენგანი უნდა შეადგენდეს, ვიღას ვუსაყვედურებთ, ვინ არის დამნაშავე, რომ ჩვენი საქმე კარგად ვერ მიდის? რასაკვირველია, ისევ ჩვენ.

დარწმუნებული ვარ—მთელი ჩვენი მოწინავე ანუ განვითარებული საზოგადოება ამ «ქართველთა შორის ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებაზე» უკეთესს საშუალებას ვერა ნახავს ამ არეულ-დარეულ წუთის სოფელში იმ საზოგადო მტერთან საბრძოლველად, რომელსაც უმეცრება ჰქვიან. ჩვენ უნდა შევერთდეთ ყველანი ერთად, შევკრიბოთ ყოველივე ჩვენი ძალა, ფული და სიყვარული საქმისადმი და ვებრძოლოთ ამ მტერსა.

აი ამიტომ ჩვენის აზრითაც, ძალიან უსაფუძვლოა ის საყვედური, რომელსაც ვაძლევთ «საზოგადოებას». «საზოგადოება» თვითონ ჩვენა ვართ და თუ არა ვართ—უნდა ვიყვნეთ,—ყვე-ყველა ჩვენგანსა აქვს გზა ფართო, ყველა ჩვენგანი მოვალეა «ოდების» მაგივრადაც და საქვეყნოდ ყვირილის მაგივრადაც, რომ არაფერს ვაკეთებთ, ერთგულად გავისარჯნეთ და ყოველის ღონის-ძიებით საერთო საქმე წინ წავაყენოთ.

მ. ნ.

## შინაური ქრონიკა

≈≈ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ოდესის კაპიტალისტები აპირობენ შაქრის ქარხნის გამართვას გორის მაზრაში რკინის-გზის ახლო ერთის თავადიშვილის მამულში; ეს ადგილი ამ კაპიტალისტებს იმიტომ ამოურჩევიათ, რომ შაქრის ჭარხალი იქ კარგად მოდის, შაქარი ორი პროცენტით მეტია, ვიდრე სამხრეთ-რუსეთში მოსულ ჭარხალში და ამას გარდა რკინის-გზის სტანციაც ახლოა.

ამისთანა ქარხანა ძალიან ხელს მისცემს, როგორც თითონ კაპიტალისტებს, ისე ხალხს: უეჭველია, რაკი ამ გვარი ქარხანა შიგ ჩვენი ქვეყნის შუა-გულში გაიმართება, შაქარი გაიაფდება და ამ გაიაფებას არ შეიძლება არ თანაუგრძნოთ, რადგან ბოლოს დროს შაქარი თვით უღარიბესს ოჯახებშიაც აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა.

≈≈ კიდევ სამდურავსა გვწერენ ჩვენის რკინის-გზის გამგეობაზედ, რომ იგი ცოდნასა და გამჭრიახობას ღირსეულად ვერ აფასებს, ქართველებს მრუდის თვალით უცქერის და მხოლოდ პროტექციით ურიგებს ადგილებსო,—მერე იმისთანა პირებს, რომელთაც ბახუსის ერთგულება იმდენად გასჯდომიათ ძვალ-რბილში, რომ მზად არიან მთელი ჭკვატომბა შესწირონ და მატარებლებიც კი თავის პასაჟირებით არ დაინდონო. ამას გარდა, თუმცა სტანციის უფროსებმა უფრო კარგად იციან თავიანთ ხელქვეითების ამბავი, მაგრამ იმათ არავინ ანდობს სტანციებზე მოსამსახურე მუშების დაყენებას და ეს საქმე «არტელის პოდრიადჩიკებისათვის» მიუნდვიათ, რომელნიც მხოლოდ თვეში ერთხელ ან ორჯერ თუ დაუვლიან სტანციებსო. ეს «არტელის პოდრიადჩიკები» ხშირად სხვა-და-სხვა ტყუილ ბრალსა სდებენ მუშებს,—ეს საქონელი ცუდად ჩაგიწყვიათ და დასველებულაო; აქ ამა და ამდენი დაგიკლიათო და ამ გვარ ხრიკებით ჯარიმას ახდევინებენო. ამბობენ ამ გვარს უწესოებაზედ საჩივარია გაგზავნილი მინისტრთან და ვნახოთ, რითი გათავდებაო.

≈≈ ქ. თბილისში, ხარფუხს, როგორც გაზ. «მშაკი» იწერება, ადგილობრივი უმეცარი ბებიის წყალობით, მომკვდარა ერთი ახალგაზდა მელოგინე ქალი. საქმე ის არის, რომ ხარფუხში არა ჰყავთ არც ერთი ექიმი და არც ნასწავლი ბებია.

≈≈ «იურიდიული მიმოხილვის» სიტყვით, იუსტიციის სამინისტროს ტელეგრამით მიუწვევია პეტერბურგში თბილისის სამჯავრო პალატის პროკურორი, გ. ა. ანდრეევი. ამბობენო, რომ ამ მიწვევას კავშირი უნდა ჰქონდეს ჩვენებური სასამართლოების გადაკეთების პროექტებთანაო.

≈≈ «ახალ მიმოხილვას» გაუგონია, რომ გროვდება ფული რკინის-გზის უწინდელი გამგებლის გ. ო. ლადანის სახელობაზედ. ამ ფულის სარგებელი უნდა ეძლიოს ჯილდოდ იმ შეგირდს თბილისში დაარსებულ სარკინი-გზო სასწავლებლისას, რომელიც საუკეთესო შრომას წარმოადგენს.

≈≈ იმავე გაზეთსა სწერენ აფხაზეთიდამ, რომ იქაურს ადმინისტრაციას დაუბარებია რამდენიმე ფუთი ბამბის თესლი გუდაუთის ახლო მცხოვრებ აფხაზებისათვის მუქთად დასარიგებლად. უწინ ამ გვარადვე მოქცეულა ინგლისის კონსული დიქსონი და ოჩემჩირის ახლო გაუჩენია ბამბა. სოხუმლები თურმე დიდს სიკეთეს მოელიან, თუ ბამბის მოყვანა გახშირდა აფხაზეთში.

≈≈ ფოთიდამ სწერენ იმავე გაზეთს, რომ დუქნებზედ დაყენებული ვაჭრების შეგირდები მეტად ცუდს მდგომარეობაში არიან, სისხამ დილიდამ მოკიდებული კარგა გვიანობამდე უნდა ივაჭრონ და უქმე დღეც არ გააჩნიათო. წელიწადში მხოლოდ სამს დღეს უქმობენ: შობას, ახალწელიწადს და აღდგომასაო. ამას წინად მომკვდარა იქ ერთი შეგირდი ბადრიძე, რომელიც ვაჭრის ხ—ის ხელქვეითი იყო და რომელსაც 11 წლის განმავლობაში საზიარებლადაც კი თავისუფალი დრო არა ჰქონია.

≈≈ გაზ. «კავკაზს» კიდევ მიუღია რამდენიმე საჩივარი კასპის სტანციიდამ, სადაც თურმე აქამდის არ აკეთებენ პლატფორმას ვაგონების დასადებად. ამისგამო მთელი თვეობით ვერ ახერხებენ, მაგ., შეშის გამოგზავნას თბილისში. ცუდი

---

— მართლაა? მერე რა ჰქვიან მაგ სოფელს?

პრუსიელმა უპასუხა:—«ფარსბურგი»—მე ეს ლაწირაკი ფრანცუზები სულ ყურებით ვათრიე.

ამ სიტყვებთან გადახედა დიბუის და მედიდურად ჩაიცინა.

მატარებელი მიექანებოდა და გვერდით უვლიდა ჯარ ჩაყენებულ სოფლებს. გზის სიგძეზე მოჩანდენ პრუსიელები, ზოგი იმათგანი ყავახანაში ქეიფსა სწევდა, ზოგი მინდორზედ წამოწოლილი შექცეოდა და ზოგი კი გზის პირას იდგა და შემოჰყურებდა მატარებელს. ერთის სიტყვით, დედა-მიწა კალიასავით სალდათებით იყო მოდებული.

პრუსიელმა ხელების პარტყვით წამოიძახა:

— მე რომ ჯარის უფროსი ვყოფილიყავ, უეჭველია, პარიჟს ავიღებდი, ამოვბუგავდი ყველაფერს და ყველას დავხოცდი. მაშინ აღარ იქნებოდა საფრანგეთი!

ინგლისელებმა, როგორც მართებულობა მოითხოვდა, გაიკვირვეს.

იმან განაგრძო:

— ოც წელიწადზე ევროპა მთლად ერთიანად ჩვენს ხელში იქნება. პრუსიას ვერავინ ვერ შეედრება ძალით.

ინგლისელები შეკრთენ, კრინტი არ ამოიღეს; იმათ პირისახე წმინდა სანთელივით გაუყვითლდათ, თუმცა თითქოს გულგრილად იყვნენ. პრუსიელი მოჰყვა სიცილს და გადაწოლილმა დაიწყო უთავბოლოდ როშვა: როშავდა აოხრებულ საფრანგეთზე, მტერს მიწასთან ასწორებდა; როშავდა ახლად დამარცხებულ ავსტრიაზე, უბოლოოდ როშავდა საფრანგეთის იმ მაზრებზე, რომელნიც თავდადებით და გაავთრებულნი იცავდენ თავიანთ სამშობლო კუთხეს; როშავდა გაჭირების დროს მოგროვილ საფრანგეთის ჯარზე, იმათ უვარგის თოფ-იარაღზე; კვეხულობდა, რომ ბისმარკი მთელ რკინის ქალაქს ააგებს ამ დამარცხებულების თოფ-იარაღითა. მერე ერთბაშად ისე გაშოტა ფეხები, რომ დიბუის ფერდებს მიაბჯინა. ფრანცუზი ყურებამდის გაწითლებული გაკვირვებით შესცქეროდა.

ინგლისელები კი ეხლა აღარაფრად აგდებდენ ამის ლაპარაკს, ისეთ განცხრომაში იყვნენ, თითქოს ყველასგან მოშორებულნი, თავიანთ კუნძულზედ იმყოფებიანო.

პრუსიელმა ჯიბიდამ ჩიბუხი ამოიღო, დააცქერდა ფრანცუზს და ფრანცუზულად, ენის მტვრევით ჰკითხა:

— თამბაქო არა გაქვთ?

— არა, ბატონო,—უპასუხა დიბუიმ.

— გთხოვთ მიყიდოთ, როდესაც მატარებელი შედგება,—უთხრა პრუსიელმა აფიცერმა და მერე განაგრძო სიცილით:

— მაგისთვის დაგასაჩუქრებთ, ნუ გეშინიანთ!

მოისმა სტვენა, მატარებელი ნელ-ნელა მიგოგავდა, გაუარა გადამწვარ სტანციას და ბოლოს სრულებით შედგა.

პრუსიელმა გააღო ვაგონის კარი, ფრანცუზს გზა მისცა წასასვლელად და უთხრა:

— აბა ჩქარა, ჩქარა, რაც მოგანდეთ—ამისრულეთ!

მთელი რაზმი პრუსიელებისა სტანციაზე იდგა, სხვა მხედარნი მოშორებით, მოაჯრის იქიდან, იყურებოდენ. დაუსტვინეს კიდეც წასასვლელად, დიბუი საჩქაროდ შევარდა სხვა ვაგონში, თუმცა გზის მოხელე არ უშვებდა.

X

ეხლა დიბუი ვაგონში მარტო იჯდა! გული საშინლად უცემდა, სულს ძლივს იბრუნებდა, ღილები გაიხსნა და შუბლიდამ ოფლი გადიწმინდა.

მატარებელი კიდევ მალე შედგა; უეცრად პრუსიელი წინ გამოეჭიმა; ინგლისელებიც თან ასდევნებოდენ, იმის გასაგებად, თუ რა მოხდებოდა. პრუსიელი პირ-და-პირ ჩამოუჯდა წინანდელსავით და სიცილით ჰკითხა:

— არ მოინდომეთ, განა, აგესრულებინათ, რაც მოგანდეთ?

— არა, ბატონო, არ აგისრულეთ,—უპასუხა ფრანცუზმა.

ამ დროს მატარებელი დაიძრა.

— მაშ წვერს მოგჭრით და იმას ვიხმარებ თამბაქოს მაგივრად,—უთხრა აფიცერმა.

თქვა თუ არა ეს სიტყვები, ხელი გაიშვირა ფრანცუზის პირისახისკენ.

ინგლისელები ჩვეულებრივ გულ-

არ იქნებაო, ამბობს გაზეთი, რკინი-გზის გამგეობას მიექცია ყურადღება ამ გარემოებისთვისაო.

## უცხოეთი

**კიდევ მუშების მღელვარებაზედ საფრანგეთში.** გუშინ ვაუწყეთ მკითხველებს, რომ იმ მოძრაობას, რომელიც საფრანგეთის მუშათა შორის მზადდება და დღითი-დღე უფრო ძლიერდება, დეპუტატთა პალატა ძლიერ შეუფიქრიანებია და დაულონებიაო.

ამ აზრის სინამდვილე იმითი მტკიცდება, რომ, ზოგიერთა პარიჟელი გაზეთების სიტყვით, 22 იანვარს ახ. სტ. უნდა შეკრებილიყვნენ პალატის ყოველნი დასნი და განეხილათ წინადადება, რომელიც უკიდურესმა მარცხენა მხარემ შეიტანა პალატაში და რომლის შინაარსიც შეიძლება ესრედ გამოეხატოთ: «იმ პირთ, რომელთაც 17 იანვრამდინ 1884 წ. ნივთები დაუგირავებიათ გამსესხებელ კასებში არა უმეტეს 10 ფრანკისა, შეუძლიანთ უკანვე მიიღონ ეს ნივთები უსასყიდლოდ; უკეთუ 10 ფრანკზე მეტათა აქვთ დაგირავებული, მაშინ შეუძლიანთ უსასყიდლოდ წაიღონ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ, ნივთები პირველის საჭიროებისანი არიან».—ეს მოსთხოვა პალატას იმ მუშათა ყრილობამ, რომელიცამას წინად იყო პარიჟში ლაბუშერის თავ-მჯდომარეობით და რომელზედაც ჩვენც მოვიყვანეთ ზოგიერთა ცნობები № 13-ში. უკიდურესს მარცხენა მხარეს ეტყობა, რომ რითმე უნდა მოისყიდოს მუშები, რომელნიც იმას ამ უკანასკნელს დროს განზე უდგებიან, და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მუშების მოთხოვნილებაც სწორედ ამ განზრახვით შეასრულეს.

ერთი დიპლომატი, რომელსაც დიდ-ხანს უცხოვრია პარიჟში და რომელსაც სიტყვა დაეჯერება, ამტკიცებს, რომ საფრანგეთში რევოლიუცია აუცილებელიაო,—ამას თვით მმართველობაც გრძნობს და ხალხიცაო. აი რას იწერება ეს დიპლომატი: «გამგებელთა წრეებში გრძნობენ, რომ რაღაც საიდუმლო მოძრაობაა პარიჟში. მუშათა დეპუტატები, რომელნიც პალატაში იყვნენ მოგზავნილნი, რევოლიუციის დროს გვაგონებენ; რამდენიც ფერი სასტიკ ღონის-ძიებათა ხმარობს, იმდენად უფრო მრისხანე ხასიათს იღებენ ის სიტყვანი, რომელთაც ანარხისტების კლუბებში ამბობენ. ჰფიქრობენ, ვითომც ფერიმ იმიტომ მიმართა სასტიკს ზომებსა... რომ მალე გამოიწვიოს ეს არეულობაო, რადგანაც იცის, რომ ეხლა ჯარიც და საზოგადო აზრიც იმის მხარეზე იქნებაო. შესაძლებელია, ფერი მართლა ესე ფიქრობდეს, რადგანაც გრძნობს, რომ ძალა ჯერ-ჯერობით იმისკენ არის».—ტონკინის საქმე არ აღელვებს მცხოვრებლებს, იმაზედ ცოტას ლაპარაკობენ,—სალაპარაკო საგნად ეხლა სულ მუშების მღელვარება აქვს ყველას.

ამას გარდა, 8 იანვარს რადიკალებსაც ჰქონიათ კრება, რომელზედაც ათასს კაცზე მეტი დასწრებია. ამ კრების შესახებაც აი რას იწერებიან პარიჟიდამ:

«დღეს შეიკრიბა კონსტიტუციის გარდახილვის მომხრე დასი. დეპუტატი ბიუკი მკაცრად ჰკიცხავდა ეხლანდელს კონსტიტუციას, ხოლო მუნიციპალიტეტის რჩევის წევრს მიშელენს ცათამდის აჰყავნდა სოციალური რევოლიუცია. ბოლოს, მიღებულ-იქმნა რეზოლიუცია, რომელიც უცხადებს წინაალმდეგობას მმართებლობის დამოუკიდებელს პოლიტიკას და იწვევს რესპუბლიკელ დეპუტატებს, რათა მოსთხოვონ მმართებლობას დაუყოვნებლივ კონსტიტუციის გარდახილვა. ერთი კიდევ სხვა ყრილობაც მოხდა. ამ ყრილობაზე 2,000 კაცზე მეტი დაესწრო. გადასწყვიტეს გამართონ ხელის-მოწერა, შეჰკრიბონ ფული და ძეგლი აუგონ დელეკლიუზს და სხვა სიკვდილით დასჯილ კომუნარებს...

— მადაგასკარიდამ იწერებიან ლონდონის გაზეთებში, რომ 22 იანვარს გვირგვინი იკურთხა ახალმა მალგაშის დედოფალმა, რომელმაც საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ ერთს მტკაველს მიწასაც არ დავუთმობ ფრანცუზებსაო; ესევე გამოუცხადებია დედოფლის პირველს მინისტრსაც.

— იგივე გაზეთები იუწყებიან, რომ ხმებია, ვითომც ინგლისის მმართებლობას ბძანება გაეცეს, რათა სამხედრო უწყებას მზათა ჰყვანდეს ათი ათასი კაცი და საჭირო სატრანსპორტო გემები ეგვიპტეში გასაგზავნად თუ ვინიცობაა, საჭიროებამ მოითხოვაო.

— ერთს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია **გერმანიის გლეხთა საზოგადო კავშირის კომიტეტის** მოწოდება, რომელშიაც აფთხილებს იგი გლეხებს მიწის-მფლობელთა ოინებისაგან; მოწოდებაში მოხსენებულია, რომ მიწის მფლობელნი ყოველი ღონის-ძიებით ცდილობენ აღძრან ხალხში უნდობლობა გერმანიის კავშირისადმი... «ყოველგან უფრო-და-უფრო ვრცელდება რწმენა, რომ მთელი და განუწყვეტელი წარმატება ჩვენის სახელმწიფო ცხოვრებისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც დიდებული გერმანიის გლეხობა მთლად და სრულიად თავისუფალი იქნება მზრუნველობისა და დამოკიდებულობის ბორკილთაგან. გერმანიის გლეხთა კავშირი მიისწრაფის ამ დიდებული საგნისადმი და გრძნობს, რომ მიდის იგი წინ იმ პოლიტიკასთან ერთად ხელგადაბმული, რომელიც უანდერძეს მას გერმანიის ჩინებულთა გამგებელთა; იმპერატორის და სამშობლოს ერთ-გული იქნება იგი,—არ შეუშინდება ჟამთა ვითარებას, ეკონომიურს და პოლიტიკურს დროების მიმდინარობის, საზიზღარს შურს, მტრობას და ცილის-წამებას, და განუწყვეტლივ ილვაწებს თვისთა განზრახვათა განსახორციელებლად. ჩვენ მიგვინდვია მთელი განათლებული ქვეყნისთვის, რათა, სახელითა ღვთისათა, განსაჯოს ჩვენთა მისწრაფებათა საჭიროება და სიმართლე.»

— არაბი-ფაშას შემდეგი საყურადღებო წერილი მიუწერია ერთი თავის ლონდონელი მეგობრისათვის:

«ეგვიპტე სრულიად არაფერს არ უნდა მოელოდეს ოსმალეთისაგან. ეს უბედურება, რა უბედურებაშიც ეხლა ეგვიპტეა, სულ ოსმალეთმა დამართა მას. ინგლისმა იტვირთა ეგვიპტის ბედი და ეგვიპტემაც მარტო იმას უნდა მიმართოს. მოუთმენლნელად მოველი იმ დღეს, როდესაც ჩემის ქვეყნისთვის საჭირო შევიქმნები. მე იმ აზრისა ვარ, სუდანი მახდის მიეცეს მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ხედივის კონტროლის და მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდეს.»

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

19 იანვარს.

რიგა. პოლიციამ აღმოაჩინა გუშინ ყალბი ფულის მჭრელები; აღმოაჩინა აგრეთვე ყალბი კრედიტის ბილეთები, წვრილი ფუ-

---

გრილნი, ეხლა განცვიფრებით შეჰყურებდენ ამათ.

პრუსიელს ის იყო უნდა ეტაცნა ხელი წვერისთვის, ამ დროს დიბუიმ მუშტით აიცდინა იმისი ხელი, წაუჭირა ყელში და წააქცია. მერე გააფთრებული ფრანცუზი, ჩასისხლული თვალებით, ქშენით ერთს ხელს ყელში უჭერდა და მეორეთი, რაც ძალა ჰქონდა, მუშტით პირისსახეში სცემდა. პრუსიელი ცდილობდა თავი დაეხწია, ხმალი წელიდამ ამოეძრო და ხელიდამ დასხლტომოდა თავის მეტოქეს, რომელიც ზემოდამ აჯდა; მაგრამ დიბუი თავის ვეება მუცლით ზედ აწვა და უწყალოდ სცემდა, სცემდა დაუღალავად, რაც კი ძალა ჰქონდა და სადაც მოხვდებოდა. პრუსიელს სისხლი გადმოსდიოდა, ხრიალებდა, იხრჩობოდა, კბილებს აკრაჭუნებდა, მაგრამ სულ ამაო იყო, ამ გაშმაგებულ კაცს ძნელად თუ ვინმე მოერევოდა.

ინგლისელები გაფაციცებულნი მიუახლოვდენ ამათ. ესენი კმაყოფილნი და ცნობის-მოყვარეობით შესცქეროდენ, მზადაც იყვნენ სანაძლევო დაედოთ, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ ორში და ვინ დარჩება დამარცხებული.

ერთბაშად ღონე-მიხდილი დიბუი წამოვარდა და ხმა-ამოუღებლივ თავის ადგილას დაჯდა.

პრუსიელი არ მივარდა თავის მტერს, რადგან ისე გამოშტერებული და შეწუხებული იყო, რომ არა გაეგებოდა-რა. მერე, როდესაც სული მოიბრუნა, სთქვა:

— დამბაჩამ უნდა გადასჭრას ჩვენი საქმე, თუ არა და ეხლავე მოგკლავთ.

— თანახმა ვარ დუელზედ, როდესაც კი გნებავდეთ,—უთხრა დიბუიმ.

— ეხლა მივალთ ქალაქ სტრასბურგს, იქ ვიშოვნი ორ აფიცერს მოწმად და სანამ მატარებელი იქ იდგება, სამყოფი დრო გვექნება.

დიბუი, რომელიც ისე ფშვინავდა, როგორც მაშინა, მიუბრუნდა ინგლისელებს და ჰკითხა:

— გახდებით ჩემს მოწმად?

ორივემ ერთის ხმით უპასუხეს ინგლისურად:

— რატომ, რატომ!

ამ დროს მატარებელიც შედგა.

ერთს წუთს პრუსიელმა მონახა ორი ამხანაგი, რომელთაც იშოვეს წყვილი დამბაჩა და ყველამ ერთად გასწიეს სტანციის მოაჯრის იქით.

ინგლისელები წამდაუწუმ საათს დასცქეროდენ, ჩქარობდენ საქმის გათავებას, რომ მატარებელს არ გაესწრო.

დიბუის დამბაჩა თავის დღეში ხელში არც კი ეჭირა; ის მტერს ოცნაბიჯზედ წინ დაუყენეს, ბოლოს ჰკითხეს:

— მზადა ხარ?

როდესაც დიბუიმ უპასუხა «დიაღ, ბატონო», ამ დროს თვალი შეასწრო,—ერთ ინგლისელთაგანს გაეშალა ქოლგა, რომ მზეს არ დაესიცხა.

მოისმა ბრძანება:

— აბა, გაისროლეთ!

დიბუიმ, ღვთის ანაბრად, მაშინვე გაისროლა და საშინლად გაიკვირვა, როდესაც იმისი წინაალმდეგი პრუსიელი დაბარბაცდა, ხელები აიშვირა და იმ წამსვე დაეცა. დიბუის მოეკლა იგი.

ერთმა ინგლისელმა, როცა საქმე ასე დაბოლავდა, სიხარულით წამოიძახა: ოჰო! მეორემ კი, რომელიც საათს ხელიდამ არ უშვებდა, სტაცა ხელი დიბუის და საჩქაროდ სტანციისკენ გაიტაცა.

ეს სამნი დიდრონი მუცლებით, ჩაფიქრებულნი, ერთნაირი ნაბიჯით მირბოდენ თავიანთ ვაგონისკენ და ისეთი სასაცილონი იყვნენ, რომ სწორედ სახუმარო ჟურნალში დასახატად გამოდგებოდენ.

მატარებელი ის იყო დაიძრა, ესენი ერთს წამს ახტნენ ვაგონში; ინგლისელებმა მოიხადეს თავიანთი ფარაჯები, ალტაცებით აისროლეს და სამჯერ ზედი-ზედ დაიყვირეს «ურა!»

მერე მედიდურად, დარბაისლურად ჯერ ერთმა მერე მეორემ დიბუის მაგრად ხელი ჩამოართვეს და ისე დასხდენ თავ-თავიანთ ადგილას.

ანას. თ—სა.

ლი და ფულის მოსაჭრელად საჭირო იარაღები; ზოგიერთი ბოროტ-მომქმედთაგანნი დაიჭირეს.

ვენა. ამ უკანასკნელ დროს მომხდარ პოლიტიკურ მკვლელობათა და საზოგადოდ ანარქისტების მოქმედებამ ვენაში და პროვინციებში იძულებულ-ჰყო მთავრობა,—მიეღო განსაკუთრებული ზომები ვენისა, კორნეიბურგის და ვინერნეიშტატის სამოსამართლო ოლქებში. ეს ზომები შეეხებიან, სხვათა შორის, საეჭვო წერილებს და საშიშად ცნობილი წიგნებისა და დაბეჭდილ ფურცლებს. ვენის სამოსამართლო ოლქში შეაჩერეს აგრეთვე ნაფიცთა სასამართლოს მოქმედება.

ლონდონი. ბანკირებმა პ. ვ. ტომასმა, შვილებმა და კამპანიამ ვალების მიცემაზედ უარი სთქვეს; პასივი (ვალი) 800,000 გირვანქა სტერლინგია.

## განცხადებანი

მშვენიერი ჩუჩუ-ჩუჩაი ამ წლის ბოლომდის იყიდება რვა აბაზად.

ინგლისის მაღაზიაში.

ნუ მისცემთ 2 მან. 20 კაპ. ან 2 მან. 40 კაპ. უარესს ჩაიში სხვაგან.

იქვე იყიდება ხელოვნური ყვავილები მინის ხუფებით, ლამპა, ქუდები, დრატვა, ტრიკო და სხვა მრავალი საქონელი ნახევარ ფასად. (18—18)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25⁰/₀-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სასმური, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადხოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სადგმლები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—46)

ნაფიცი მზრუნველი თ. ნიკოლოზ დავითის-ძის ჯამბაკურიან-ორბელიანის შეუძლებლობის გამო დაყენებული, ნაფიცი ვექილი ფრენკელი, აღსასრულებლად თბილისის ოლქის სამსჯავროს მოწერილობისა, ჰყიდის გასაყიდველად თავ. ორბელიანის მამულს «სოლომალექს», (იგივე «სოფიკლე»), რომელიც იმყოფება თრიალეთის საპრისტავოში, ბორჩალოს მაზრაში, თბილისის გუბერნიაში და რომელიც შესდგება ასორმოც-და-ათი დესიატინა მიწისაგან, უმეტესად საძოვრისაგან. ეს მამული ერთიანად იყიდება, მაგრამ, თუ მყიდველები ისურვებენ, ცალ-ცალკეც შეიძლება გაიყიდოს, თუ ყველა ნაწილის მყიდველები ერთად გამოჩნდებიან ყიდვის დროს. ამ მამულში სხვა-და-სხვა მოიჯარადრეთ შენობებიც არის; ეს შენობები, გარდა ერთის დანგრეული ქარვასლისა, არ გაიყიდებიან. გაყიდვა 14 თებერვალს 1884 წ. მოხდება თბილისის ოლქის სამსჯავროს სადგურში; ვაჭრობა დაიწყება დილის 12 საათზე იმ ფასიდამ, როგორც დაფასებულია, ე. ი. 21,510 მანეთიდამ. მამულის აღწერილობა და ყოველივე ცნობის მიღება ნაფიცი მზრუნველისაგან შეიძლება ყოველ-დღე, დილის 9-დამ 10 საათამდე (თბილისი, სოლოლაკის ქუჩა სახლი № 10). (3—3)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| – — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—70)

## პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული

«კედლის კალენდარი»,

სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

—

იყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი. (30—15)

ჟ უ რ ნ ა ლ ი

## „ქართული ბიბლიოთეკა"

(წელიწადი მეორე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ქართული ბიბლიოთეკა» გამოვა ყოველ თთვე-და-თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში: «ქართული ბიბლიოთეკის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება თფილისის ქუჩაზედ. დ. ლორთქიფანიძის სახლში.

თფილისში: ბ. ზაქარია ჭიჭინაძესთან, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

გორში:—ექ. ფურცელაძისას.

ბათუმში:—იულია დავითის ასული ჩხეიძისას.

ფოთში:—ნატ. მაჭაროვისას.

ფასი მთელის წლისა 6 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი:

Въ Кутаисъ, въ редакцію журнала «ГРУЗИНСКАЯ БИБЛІОТЕКА».

ხვედრი ფული ხელის-მომწერთა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

რედაქტორი—გამომცემელი ეკ. ლორთქიფანიძისა.

(10—9)

### ОБЪ ИЗДАНІИ ВЪ 1884 ГОДА ЖУРНАЛА

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(годъ четвертый)

**Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:**

I. Статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II. Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV. Корреспонденціи юридическаго содержанія.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библіографія).—VI. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы кассаціонныхъ рѣшеній: а) кассаціонныхъ департаментовъ сената, и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлеченіе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ.—X. Объявленія—казенныя и частныя.

При всей трудности изданія юридическаго органа на далекой окраинѣ Россіи, необходимость и полезность такого органа на Кавказѣ доказывается вступленіемъ «Юридическаго Обозрѣнія» въ четвертый годъ своего существованія. Въ настоящее время редакція заручилась сотрудничествомъ многихъ юристовъ, врачей и публицистовъ. Мы можемъ указать, какъ участниковъ въ нашемъ журналѣ: К. Д. Анциферова, Д. З. Бакрадзе, Ѳ. А. Быкова, Ф. К. Бакало, Кн. К. А. Бебутова, Г. Г. Гвиніева, А. А. Гребенщикова, С. І. Гулишамбарова, Н. А. Дингельштета, К. В. Долгова, Г. А. Джаншіева, Г. И. Еджубова, Д. И. Кипіани, Д. В. Квиркеліа, П. И. Ковалевскаго, П. М. Лебединскаго, Я. И. Лудмера, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, Д. П. Пурцеладзе, Я. И. Рашета, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. В. Степанова, А. А. Фонъ-Ашеберга, В. А. Хлѣбникова, Н. А. Шаврова и др.

Въ распоряженіи редакціи имѣются статьи, какъ мѣстнаго кавказскаго, такъ и общаго интереса. Изъ числа ихъ предназначены къ печатанію въ 1884 году: матеріалы для новыхъ уложеній—Уголовнаго и Гражданскаго, о водовладѣніи на Кавказѣ и другихъ мѣстахъ по законамъ: царя Вахтанга, шаріату и др., о межеваніи, о пошлинахъ, о литературной и музыкальной собственности, о нефтяныхъ законахъ въ разныхъ странахъ, о колоніяхъ преступниковъ, о сельской адвокатурѣ, о безпріютныхъ дѣтяхъ, о формѣ суда присяжныхъ на Кавказѣ, о хизанахъ, о саношенахъ, о древне-армянскомъ законодательствѣ (изслѣдованія Мхитара-Гоша), о мусульманскихъ законахъ на Кавказѣ, о древне-еврейскомъ законодательствѣ и пр.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Редакція и Администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р 25 к. Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

При меремѣнѣ адреса вносятъ 40 к.

Объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., ½ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб. 50 коп.

Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Отдѣльные №№ «Юрид. Обозр.» продаются по 25 коп. въ Тифлисѣ, въ Центральной книжной торговлѣ и въ г. Кутаисѣ, въ книж. маг. Чиладзе.

Статьи должны имѣть подпись и адресъ ихъ автора, для свѣдѣнія редакціи, и могутъ подлежать передѣлкамъ и сокращеніямъ.—Статьи безъ означенія условій гонорара признаются безплатными.—Обратная пересылка рукописей для редакціи не обязательна.

При доставленіи въ редакцію «Юридическаго Обозрѣнія» экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація. (8—5)

*Дозв. цензур. Тифлисъ, 20 Января 1884 г.* ექ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.